საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულის - საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის სტატუსსა და ფუნქციებს.

1.2. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა (შემდგომში "კლინიკა") შექმნილია "უმაღლესი განათლების შესახებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

1.3. კლინიკა საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის უნივერსიტეტი გეომედის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

1.4. კლინიკა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი. იგი ფუნქციონირებს საგადასახადო ორგანოებში სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე.

1.5. კლინიკის ადმინისტრაციის მისამართია: ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქ. N. 4

2. კლინიკის ძირითადი მიზანი და ფუნქციები

2.1. კლინიკის ძირითადი მიზანია დიპლომამდელი (საბაზო) და დიპლომისშემდგომი (რეზიდენტურა) უწყვეტი პროფესიული მომზადება (ექიმ-სტომატოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლება), პროგრამების განსახორციელებლად კლინიკური ბაზით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო-სტომატოლოგიური საქმიანობა.

2.2. კლინიკა ხელს უწყობს სტომატოლოგიის სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას, მის გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. სტუდენტის მზაობის შემოწმებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში. პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას სტომატოლოგიურ დისციპლინათა თეორიული ცოდნის საფუძველზე, დეონტოლოგიის უნარების დახვეწას.

2.3. კლინიკა საქმიანობას წარმართავს სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის, პრევენციისა და მკურნალობის, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული მეთოდების, სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხრით.

2.4. კლინიკა საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

3. კლინიკა უფლებამოსილია:

3.1 დადგენილი წესით განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებასთან,

3.2 კლინიკა ვალდებულია ოპერატიულად მიაწოდოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ინფორმაცია საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით მიღებული პაციენტთა რაოდენობა და გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ.

4. კლინიკის ხელმძღვანელობა

4.1. კლინიკას ხელმძღვანელობს მთავარი ექიმი , რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი (შემდგომში – რექტორი).

4.2. კლინიკის მთავარ ექიმად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობის გამოცდილება.

4.3 მთავარი ექიმის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანებით დანიშნული კლინიკის ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. კლინიკის მთავარი ექიმი

5.1. პასუხისმგებელია საქართველოს ნორმატიული აქტების, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების და დავალებების შესრულებაზე, რომელიც კლინიკის საქმიანობას ეხება;

5.2. წარმოადგენს კლინიკას მინდობილობის გარეშე;

5.3. შეიმუშავებს კლინიკის წლიურ ხარჯთაღრიცხვას, საფინანსო გეგმას, შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს. შვებულების მიცემის წესს და მის ხანგრძლივობას და ბუღალტერთან ერთად წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორს.

5.4. ამტკიცებს კლინიკის შინაგანაწესს;

5.5. ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

5.6. კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტ გეომედის მიერ დადგენილ ფარგლებში ახორციელებს კლინიკის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე;

5.7. მთავარი ექიმი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

6. კლინიკის აპარატი, მათი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა

6.1. კლინიკის საქმიანობა ხორციელდება მთავარი ექიმის მიერ კლინიკის თანამშრომლებთან დადებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

6.2. კლინიკის პერსონალის მიღება-გათავისუფლებას და მათთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის რექტორი.

6.3. შრომითი ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს შრომითი და სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედ ნორმებს.

7. კლინიკის ქონება და აღჭურვილობა

7.1. კლინიკის ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და კლინიკაზე გადაცემულია სარგებლობის უფლებით.

7.2. კლინიკის ქონებრივი და ფინანსური უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოქმედი კანონმდებლობით ფილიალისათვის დადგენილი სტატუსი, სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე.

7.3. კლინიკის ქონებასა და შემოსავლებთან დაკავშირებული საკითხები კლინიკასა და უნივერსიტეტს შორის რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

7.4. უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და სტომატოლოგიური დანადგარებით, მოწყობილობებით, ინსტრუმენტებით, სამკურნალო საშუალებებით. რაც განაპირობებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას და პაციენტთათვის უმაღლეს სამედიცინო მომსახურებას.

8.აღრიცხვა და ანგარიშგება და კონტროლი

8.1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კლინიკა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.

8.2. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და გრძელდება 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.3. კლინიკის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება უნივერსიტეტის მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

8.4. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი ნიშნავს აუდიტორს.

8.5. კლინიკის საქმიანობა მოწმდება არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა, დავის გადაწყვეტა და კლინიკის საქმიანობის შეწყვეტა

9.1. კლინიკის თანამშრომლები პასუხისმგებელია თავის ვალდებულების შესრულებაზე.

9.2. დავა კლინიკასა და მის მუშაკს შორის წყდება მოქმედი შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

9.3. კლინიკის მთავარი ექიმის და კლინიკის თანამშრომლების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) რეორგანიზაცია;

ბ) ლიკვიდაცია

9.5. კლინიკის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

კლინიკის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.